ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ვაშლიჯვარი, ვ. თოფურიძის I შეს. ქ. N4-ში მცხოვრები ოჯახის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სამსახურში შემოსულია თოფურიძის ქუჩის მცხოვრებლების განცხადება, რაც ხელს უშლის ჩვენს საკუთარ ეზოში 7 სართულიანი კორპუსის აშენებას. მათი ეს განცხადება, სრულიად უსაფუძვლოა და ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებულია.

ლუიზა ჩუბინიძეს შეცდომაში შეჰყავს მეზობლები და მოტყუებით აწერინებს ხელს და ისეთი პიროვნებების ხელმოწერება დაფიქსირებული, რომლებიც ფიზიკურად საქართველოში არ იმყოფებიან და ყალბი ხელმოწერაა გაკეთებული. კერძოდ , მისი ქალიშვილი ნატალია ჩუბინიძე სამუშაოდ იმყოფება საზღვარგარეთ უკვე რამდენიმე წელია და აქ ამ საბუთზე ხელმოწერა როგორ გააკეთა? ამავე დროს, იგი მეზობელებს იმას არ უებნება, რისთვის წერს ამ განცხადებას, რომ იგი არის სრული გამომძალველი და მშენებელზე ახორციელებენ ზეწოლას მისი ვაჟი ალექსანდრე ჩუბინიძე და მისი რძალი ნინო ჩიგოგიძე და რაც მშნებელობა დაიწყო, დღე არ გავა, რომ მათი მხრიდან არ მოვიდეს მშენებელთან შუმავალი და ითხოვენ 125მ^2 ბინას და 15 000 ამერიკულ დოლარს და იმ ზარალის ანაზრაურებას, რომ ისინი ცხოვრობენ საფრანგეთში და ამ საჩივრებისთვის ჩამოვიდა მისი რძალი საფრანგეთიდან ექვსი თვე იმყოფებოდა საქართველოში და იქაური ხელფასის ზარალს (თვეში 2 000 ევრო ხელფასი და ექვსი თვის ზარალი, ე.ი. 12 000 ევრო), ითხოვს მშენებლისაგან ასანაზღაურებლად. ამ ფაქტების ჩანაწერებიც არსებობს და შუამავლების გვარებს თქვენთან არ ვასახელებთ, რადგან თქვენი სამსახურისთვის ეს საინტერესო არ არის და ამ ფაქტს სადაც საჭიროა, იქ წარვადგენთ შემდეგ. ამავე დროს, მისი ქალიშვილის სახლის უკან შენდება 14 სართულიანი კორპუსი, საიდანაც ქალბატონმა ლუიზამ უნდა მიიღოს 400 კვადრატული საცხოვრებელი ფართი და აქ თუ 7 სართულიანი ბინის მშენებლობა არ შეიძლება, იმ გზაზე როგორ უნდა აშენდეს 14 სართულიანი კორპუსი და როგორ უნდა გაუძლოს ამდენი მანქანის სიარულს ? ეს არის ჩვეულებრივი უბნის ცენტრალური გზა და არავითარი ჩიხი, რაც კიდევ ერთი სიცრუეა მისი მხრიდან. გაცხადებაზე სულ 10 ხელმოწერაა გაკეთებული და აქედან სულ სამი ოჯახის ხელმოწერაა და ერთიდაიგივე ოჯახიდან სამი წევრი აწერს ხელს.

ამ სახლში ვცხოვრობდით დედა,მამა, ოთხი შვილი და 9 შვილიშვილი და ორი ობოლი, რომელიც კოტე ჭანკვეტაძეს შვილებივით ყავს გაზრდილი და ეს 550 კვადრატული ბინა უნდა

გაუნაწილოს ყველა შვილს და მის დისშვილებს , რადგან არცერთ შვილს და დისშვილებს ბინა არ აქვთ.

კონსტანტინე ჭანკვეტაძის ოჯახის წევრები, რომლებიც უსახლკაროდ რჩებიან გამომძალველი ქალის ახირებების გამო:

მეუღლე: მარგალიტა ჭანკვეტაძე
შვილი: თამარ ჭანკვეტაძე
შვილი: ნინო ჭანკვეტაძე
შვილი: ეკატერინე ჭანკვეტაძე
შვილი: მაკა ჭანკვეტაძე
დის შვილი: მზევინარ ქაცანაშვილი
შვილიშვილი: დავით გეგუჩაძე

გთხოვთ მიიღოთ გონივრული გადაწყვეტილება და ამდენ ოჯახს ნუ გადააყოლებთ ამ გამომძალველი ქალს..